ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩაN1-ში, (ს.კ. 01.12.12.01.086)შპს „პლასფანის“ კუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული სასაწყობე შენობის (შენობა N02/1; 07/1) კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნა

მე (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი ა. მჭედლიშვილი) ვიმყოფებოდი აღნიშნულ მისამართზე არსებული სასაწყობე შენობის შესასწავლად. შენობა ერთ სართულიანია. გეგმაში სწორკუთხა ფორმის, მისი მზიდი კონსტრუქცია წარმოდგენილია „ორსკის“ ტიპის მოდულისგან. მას საძირკვლებად, შესაბამისად წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემებისა (თიხნარი R=2.4 კგ/სმ2) მიღებულია რკინა-ბეტონის მონოლითური წერტილოვანი საძირკვლები. შენობის მზიდი კონსტრუქცია როგორც ზევით ავღნიშნეთ „ორსკის“ ტიპის მოდული - ლითონის ანაკრები კარკასია, ლითონის მძლავრი ჩარჩოებით შედგენილი. ლითონის კარკასს გააჩნია შენობის შუა მალებში ლითონის ელემენტებითვე შექმნილი ვერტიკალური ჯვარედინი სეისმური კავშირები. ასევე სახურავის დონეზე აქვს შენობის განაპირა მალებში ლითონისვე ჰორიზონტალური სეისმური კავშირები. შენობის საკედლე შევსებად ასევე სახურავად გამოყენებულია სენდვიჩი.

დღეისათვის შენობა კარგ მდგომარეობაშია. არ გააჩნია ჯდომითი დეფორმაციები რაც კარგად შეინიშნება შნობის არმირებულ იატაკზე და აგრეთვე H=1.2მ მიწის დონიდან ამოწეულ მონოლითურ კედლებზე. ეთანადება სეისმური ნორმების მოთხოვნებს და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის.

წარმოდგენილ შენობას უნდა ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს +3,30 ნიშნულზე გადახურვის მოწყობას. კონსტრუქციულად გადახურვის რკინა-ბეტონის მონოლითურ კონტურზე დაყრდობილი ფილა საჭიროებს რ/ბ-ის მონოლითურ კარკასს. სვეტებს bXh 40X40 სმ და კოჭებს bXh 40X40 სმ-ზე შენობის მზიდ ლითონის კონსტრუქციასთან რ/ბ-ის მონოლითური კარკასის დაკავშირება კი უნდა განხორციელდეს სპეციალური ლითონის კვანძების საშუალებით, რაც შესაძლებელია.

რაც შეეხება რ/ბ-ის მონოლითური კარკასის სვეტებს ქვეშ საძირკვლებს, იგი უნდა მოეწყოს რ/ბ-ის მონოლითური წერტილოვანი საძირკვლების სახით. შენობის სახურავის კონსტრუქციები ასევე მოდულის მზიდი ლითონ-კონსტრუქცია დამატებით გაძლიერებას არ საჭიროებს. ყოველივე აქედან გამომდინარე ვასკვნი:

დასკვნა:

შენობა დღეისთვის კარგ მდგომარეობაშია. აკმაყოფილებს სეისმურ მოთხოვნებს და უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის და არ საჭიროებს მოდულის მზიდი კონსტრუქციების გაძლიერებას. შესაბამისად ცალსახად ვაძლევ დადებით რეკომენდაციას.

კონსტრუქტორი: ა. მჭედლიშვილი